ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №1

07.12.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **გიორგი ტყემალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **გიორგი ახვლედიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **თინათინ ნიბლოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ზურაბ აბაშიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **კონსტანტინე ზარნაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ავთანდილ ცინცაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ნინო რუხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **გიორგი ჩაკვეტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. **ირაკლი ხელაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. **ზურაბ ჩიკვილაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. **ლევან არველაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. **კახაბერ ლაბუჩიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. **შალვა ოგბაიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. **გივი ჩხარტიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. **ალექსანდრე ხუჯაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. **ლევან დავითაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. **საბა ბუაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
21. **გიორგი შარაშიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
22. **ალექსანდრე რატიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ირაკლი ხმალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერი) წარდგენილი კანდიდატი;
2. **ილია ელოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
3. **ანდრია ბასილაია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
4. **ირაკლი ბენდელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი;
5. **ვლადიმერ ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
6. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
7. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
8. **კახაბერ გულედანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
9. **ირაკლი გვილავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
10. **გელა ჩივიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
11. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) წარდგენილი კანდიდატი;
12. **გიორგი პაპავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;

13. **ნიკოლოზ ჭონქაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
14. **გიორგი აბუთიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
15. **ვახტანგ ლომჯარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
16. **გაიოზ ვასაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
17. **დავით კირკიტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) წარდგენილი კანდიდატი;
18. **ბექა მიქაუტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) წარდგენილი კანდიდატი;
19. **ვლადიმერ ძნელაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
20. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) წარდგენილი კანდიდატი;
21. **ლევან ნაროუშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
22. **ირაკლი ანდღულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) წარდგენილი კანდიდატი;
23. **ნიკა ელისაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
24. **კახა სამხარაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;

25. **დავით კვინიკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი
26. მასობრივი მედიის წარმომადგენლები.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჟორჟოლიანმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), საკრებულოს 11 კომისიის ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტების (სულ: 25 განკარგულების პროექტი) შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 6 დეკემბრის №12-032134034-03 წერილი) - ოქმს ერთვის

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების

პროექტების (სულ: 25 განკარგულების პროექტი) შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 6 დეკემბრის №12-032134034-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა.

ბატონი ლევან ჟორჟოლიანის განცხადებით, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი მთავრობის შემადგენლობის დიდ ნაწილთან საკრებულოს გასული 4 წლის განმავლობაში აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა აკავშირებს. მან მადლობა გადაუხადა მერიას თანამშრომლობისთვის და მომავალ მთავრობას წარმატებები უსურვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების გაცნობის შემდეგ, **სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.**

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - საჯარო რეესტრში ფუნქციური ცვლილებების ასახვის, მიწების მიტაცებისა და უკანონო მშენებლობების საკითხებთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ირ. ხელაძემ - ნაძალადევის რაიონში ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამის, ქუჩების სარეაბილიტაციო პროექტების, თემქის ხევში საქალაქო მნიშვნელობის პარკის მშენებლობის პროექტის შესახებ და ასევე, ნაძალადევის რაიონის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ბ-ნმა შ. ოგბაიძემ - სატრანსპორტო პოლიტიკასთან, ახალი, 18მეტრიანი ავტობუსების შესყიდვასა და საბაგირო პროექტებთან დაკავშირებით, ასევე, მეტრო სადგურ „გოცირიძის“ და ასევე, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეაბილიტაციის შესახებ.

ბ-ნმა კ. ზარნაძემ - გლდანის რაიონში ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამის, ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ და ასევე, გლდანის რაიონის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ზ. ჩიკვილაძემ - სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების, კერძოდ, კიბოს სკრინინგისა და გაფანტული სკლეროზის მკურნალობის პროგრამების შესახებ. ასევე, როგორც ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარმა საკრებულოს წევრმა შეკითხვა დასვა მეტრო „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთის შესახებ.

ბ-ნმა კ. ლაბუჩიძემ - არსებული და ახალი ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების რეაბილიტაცია-მშენებლობის, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის, მუზეუმების,

ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების თანამშრომელთა ხელფასების გაზრდის საკითხთან დაკავშირებით. ასევე, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარმა საკრებულოს წევრმა შეკითხვა დასვა ქეთევან წამებულის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

ბ-ნმა გ. შარაშიძემ - ბიუროკრატიული რგოლებისა და პროცედურების გამარტივების შესაძლებლობის შესახებ, რაც ბიზნესს, განსაკუთრებით სამშენებლო ბიზნესს გაუმარტივებდა საქმიანობას.

ბ-ნმა ს. ბუაძემ - სოციალური პოლიტიკისა და სოციალური დახმარებების, ანტიკორუფციული გეგმისა და სტრატეგიის, ასევე, ლორთქიფანიძის ქუჩაზე ფერდობის ჩამოშლის მიზეზებისა და გამაგრებითი სამუშაოების შესახებ.

ასევე, ბ-ნმა საბა ბუაძემ თბილისის მთავრობის კანდიდატებს მიაწოდა ინფორმაცია, ვაკის რაიონში, ტაბიძის ქუჩა №25-ში არსებულ ტერიტორიაზე სატყეო ზონის გავრცელების აუცილებლობის შესახებ. მისი ინფორმაციით, წინა მოწვევის საკრებულომ, აღნიშნულ ტერიტორიას, 5 000 კვ.მ. ფართობს სამართლიანად მიანიჭა სატყეო ზონის სტატუსი, თუმცა, მიმდებარედ, დაახლოებით, 2000 კვ.მ. ფართობზე არსებულ გამწვანებულ სივრცეზე არ ვრცელდება შესაბამისი ფუნქციური ზონა. მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნით, აღნიშნული ტერიტორიის დაცვის მიზნით, საჭიროა გავრცელდეს სატყეო ზონა. აღნიშნულ ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობის და ასევე, ხე-ნარგავების უკანონო ჭრების ფაქტებზე უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ხოლო მოსახლეობამ სასამართლოს მიმართა.

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ - მეწყერსაშიში და ღვარცოფული ტერიტორიების შესახებ.

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი მთავრობის შემადგენლობის საქმიანობა გასული 4 წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო. მრავალი სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, განსაკუთრებით მიმდინარე წელს, ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე დაძრული მეწყრის შეჩერების ოპერატიული და სწორი ღონისძიებების გატარებისას. მისი განცხადებით, თბილისში მრავალი მეწყრული პროცესი მიმდინარეობს, რასაც კონტროლი და პრევენციული ღონისძიებების გატარება სჭირდება, რადგან ეს თემა ძალიან მჭიდროდ არის მიბმული ურბანულ საკითხებთან. ბ-ნი ნ. კახეთელიძის წინადადებით, ამ მიზნით, საჭიროა ამ მეწყერსაშიში ტერიტორიების პერიოდული მონიტორინგი, რომელსაც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც კომისიურად განახორციელებენ ქალაქის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებისა და გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები. მით უმეტეს, რომ მუდმივი კონტროლისათვის გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს აქვს შესაბამისი რესურსი და შესაძლებლობები (დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, სპეციალური აპარატურა და სხვ.).

ბატონი ნ. კახეთელიძე ასევე, შეეხო მცირე მდინარეების საკითხსაც და აღნიშნა, რომ თბილისში მრავალი მცირე მდინარეა, რომელიც სეზონურად საფრთხეს უქმნის დედაქალაქს წყალმოვარდნებისა და ღვარცოფების სახით. მან მაგალითად მოიყვანა მდ. დუქნისხევი, რომლის ადიდებასაც ორთაჭალაში მსხვერპლი მოჰყვა. მისი წინადადებით,

პრევენციის მიზნით, საჭიროა მდინარეთა კალაპოტებისა და ხევების პერმანენტული გაწმენდა, რაც მდინარეების დინების შეკავებას და წყლის დაგროვებას ხელს აღარ შეუწყობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბატონი ნ. კახეთელიძე ასევე დაინტერესდა სარწყავი სისტემის საკითხით და აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში დედაქალაქში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, მრავალი პარკი და სარეკრეაციო სივრცე მოწესრიგდა და მოეწყო. ამ მწვანე არეალებს სჭირდება სერიოზული მომსახურება, თუნდაც, იგივე სარწყავი სისტემის მოწესრიგების კუთხით. საინტერესოა, არსებული ვითარება რამდენად უმკლავდება გამოწვევებს. ამ მიზნით, საჭიროა ყურადღება მიექცეს მწვანე არეალების სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის საკითხს და უმთავრესი, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიის მიზნით, სადაც შესაძლებელია, ნაცვლად სასმელი წყლისა, სარწყავად გამოყენებულ იქნას ტექნიკური წყალი. ყველაფერი ეს შესაძლებელია განხორციელდეს სწორი მენეჯმენტის საფუძველზე.

ბ-ნი გ. ჩაკვეტაძე დაინტერესდა 2022 წელს განსახორციელებელი მულტიფუნქციური ცენტრების სამშენებლო პროექტებით და ასევე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კოჯრის ახალგაზრდული სოფლის პროექტზე.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ შეკითხვები დასვა კრწანისის რაიონში, გორგასლის გამზირზე სკვერის მოწყობის პროექტის, ბარათაშვილის ქუჩაზე ყავლაშვილის აივნების რეაბილიტაციისა და ნარიყალას ციხის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის დაწყების, ასევე, კრწანისის რაიონში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის ვადების შესახებ.

ბ-ნი გ. ჩხარტიშვილი, როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი, დიანტერესდა აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის, აგლაძის ქუჩისა და ე.წ. „ელიავას" ბაზრობის საკითხით.

ბ-ნი ალ. რატიშვილი დაინტერესდა დიღმის ტყე-პარკის რეაბილიტაციისა და დიღმის ჭალების საქალაქო მნიშვნელობის პარკის პროექტის განხორციელების საკითხით. ასევე, ყურადღება გაამახვილა თბილისში არსებულ მეწყერსაშიშ ზონებსა და ამ ზონების გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და მონიტორინგის საკითხით.

ქ-ნი ნ. რუხაძე დაინტერესდა თბილისის შემოერთებულ ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციების საკითხით.

დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს:

ბ-ნმა ირაკლი ხმალაძემ (თბილისის მერის პირველი მოადგილედ (ვიცე-მერი) წარდგენილი კანდიდატი), ბ-ნმა **ანდრია ბასილაიამ** (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი) და **ირაკლი ბენდელიანმა** (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი), ასევე საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელობის კანდიდატებმა ამომწურავად უპასუხეს.

ბ-ნმა ირაკლი ხმალაძემ ამომწურავად უპასუხა სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და ისაუბრა საჯარო რეესტრში ფუნქციური ცვლილებების, მიწების მიტაცებისა და უკანონო

მშენებლობების, ასევე, ავარიული შენობების ჩანაცვლების პროექტების, ასევე, სატრანსპორტო პოლიტიკის, მეტროპოლიტენის რეაბილიტაციასა და მუნიციპალური ტრანსპორტის (ავტობუსების) შესყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მან ასევე, ისაუბრა მომავალი 4 წლიანი სამუშაო პროგრამის თაობაზე.

ბ-ნმა ირაკლი ბენდელიანმა უპასუხა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ინფრასტრუქტურული პროექტების, მეწყერსაშიში ზონების და სარეაბილიტაციო ღონისძიების თაობაზე დასმულ შეკითხვებს.

კულტურის, სპორტის, ასევე ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს უპასუხა **ბ-ნმა ირაკლი გვილავამ.**

ბ-ნმა გელა ჩივიაშვილმა უპასუხა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს .

კომისიის სხდომაზე ინფორმაციისა და დასმულ შეკითხვებზე პასუხების მოსმენის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ **2021 წლის 6 დეკემბრის №12-032134034-03 წერილით** წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტების (სულ: 25 განკარგულების პროექტი) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ **2021 წლის 6 დეკემბრის №12-032134034-03 წერილით** წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტების (სულ: 25 განკარგულების პროექტი) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე